

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“

2023 წლის 21 აპრილიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1	ზოგადი ინფორმაცია	7
2	კომპანიის საოპერაციო გარემო.....	7
3	არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები	8
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	15
5	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
6	ძირითადი საშუალებები	17
7	შეზღუდული ნაშთი.....	18
8	მარაგები.....	18
9	გაცემული სესხები	18
10	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
11	გადახდილი ავანსები.....	19
12	ფული და ფულის ეკვივალენტები.....	19
13	საკუთარი კაპიტალი.....	20
14	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
15	ამონაგები.....	21
16	გაყიდვების თვითღირებულება.....	22
17	ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
18	ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები.....	23
19	პირობითი ვალდებულებები	23
20	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	24

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	
ძირითადი საშუალებები	141
შეზღუდული ნაშთი	816
სულ გრძელვადიანი აქტივები	957
მიმდინარე აქტივები	
მარაგები	1
გაცემული სესხები	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,274
გადახდილი ავანსები	38
სხვა საგადასახადო მოთხოვნები	140
ფული გზაში	76
ფული და ფულის ექვივალენტები	1,524
სულ მიმდინარე აქტივები	3,053
სულ აქტივები	4,010
კაპიტალი და ვალდებულებები	
საწესდებო კაპიტალი	74
გაუნაწილებელი მოგება	3,604
სულ კაპიტალი	3,678
მიმდინარე ვალდებულებები	
სავაჭრო ვალდებულებები	332
სულ მიმდინარე ვალდებულებები	332
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,010

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე გადაანგარიშებული*
ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	
ამონაგები	15	5,124
გაყიდვების თვითღირებულება	16	(1,627)
საერთო მოგება		3,497
სხვა ზარალები, წმინდა ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1) (310)
საოპერაციო მოგება		3,186
ფინანსური შემოსავალი		430
ფინანსური ხარჯები		(310)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	18	428
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		3,614
მოგების გადასახადის ხარჯი		(2)
წლის მოგება		3,612
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის/პერიოდის სრული მოგება		3,612

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2026 წლის 31 მარტს



დავით კვარაცხელია

დირექტორი

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 21 აპრილის მდგომარეობით (რეგისტრაციის თარიღი)		-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	13	74	-	74
დივიდენდი	13	-	(8)	(8)
სულ პერიოდის სრული შემოსავალი (შენიშვნა 3)		-	3,612	3,612
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული, შენიშვნა 3)		74	3,604	3,678


გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2026 წლის 31 მარტს


დავით კვარაცხელია

დირექტორი

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

შენიშვნა	2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე გადაანგარიშებული	
	ათას ქართულ ლარში	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება		3,612
კორექტირებები:		
ცვეთის ხარჯი		4
წმინდა ფინანსური შემოსავალი		(485)
მოგების გადასახადის ხარჯი		2
ცვლილებები:		3,190
მარაგები		(1)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(859)
გადახდილი ავანსები		(140)
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		(40)
ფული გზაში		(76)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		330
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადით დაბეგვრამდე და გადახდილ პროცენტამდე		2,404
გადახდილი პროცენტი		(2)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2,402
ვადიანი დეპოზიტების განთავსება		(816)
მიღებული პროცენტი ვადიანი დეპოზიტიდან		8
გაცემული სესხები		-
გაცემული სესხების დაფარვა		-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(145)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(953)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა		74
გადახდილი დივიდენდი		(8)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		66
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		1,515
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის/პერიოდის დასაწყისში		-
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტზე		9
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის/პერიოდის ბოლოს		1,524



1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2023 წლის 21 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საიდენტიფიკაციო ნომრით 404672895. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დავით კვარაცხელია ფლობდა 60%-იან წილს, ხოლო დავით წივწივაძე – 40%-იან წილს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჰენდლინგური მომსახურებების გაწევა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში (შემდგომში „აეროპორტი“), რაც მოიცავს მიწისზედა მომსახურების გაწევას ავიაკომპანიებისთვის და/ან საჰაერო ხომალდებისა და/ან რეისებისთვის (ძირითადად იმ კლიენტებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის კანონმდებლობის ქვეშ). აღნიშნული მომსახურებები მოიცავს: მგზავრთა მომსახურებას, რამფ მომსახურებას (Ramp Handling), დატვირთვის კონტროლს (Load Control), თვითმფრინავის გაწევის/დაძვრას (Pushback), მგზავრთა ტრანსპორტირებას, სპეციალური დახმარების მომსახურებას (WCH – ეტლით მომსახურება), რეისების ოპერირებას (Flight Operations), ენერგომომარაგებას (GPU), ასევე ბარგის ტრაქტორით გადაზიდვას (baggage tractor). გარდა ამისა, კომპანია იღებს შემოსავალს სააგენტო (მარწმუნებელი/რწმუნებელი) ურთიერთობის ფარგლებში საწვავის გადაყიდვიდან იგივე კლიენტებზე.

რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ა. გრიბოედოვის ქ., N20, ბინა 32.

წარსადგენი ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობები ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციების საგანია და ხშირად იცვლება.

საქართველოს ბიზნეს გარემო. განვითარებადი ეკონომიკები, როგორცაა საქართველო, ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით და მგრძნობიარეა გლობალური ბაზრების მდგომარეობისა და ეკონომიკური დაღმასვლების მიმართ. შესაბამისად, საქართველოში ოპერირება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, განვითარებულ ბაზრებზე ნაკლებად არის გავრცელებული. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი რეფორმა სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციულ და კომერციულ სფეროებში, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

რუსეთ-უკრაინის ომი, მოსალოდნელია, რომ ომი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს გლობალურ ეკონომიკაზე, მაგალითად, სასაქონლო ფასების ზრდის, ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის შესაძლო დეფიციტის, ბიზნეს პროცესების შეფერხებების და სხვა ფაქტორების მეშვეობით. კომპანიას გააჩნია პირდაპირი ბიზნეს საქმიანობის განფხილვა რუსეთთან და ბელარუსთან. მოცემული ფინანსური ანგარიშგებების თარიღისთვის, ომის პირდაპირი გავლენა კომპანიის ოპერაციულ შედეგებზე არ არის არსებითი. მიმდინარე ეკონომიკური გარემოს გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირება რთულია და მენეჯმენტის მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ აღნიშნულ გარემოებებს არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ვინაიდან მიმდინარე ომის პარალელურად კომპანია აგრძელებს მომსახურების გაწევას რუსულ და ბელარუსულ ავიაკომპანიებზე. რადგან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს მისი სრული გავლენა კომპანიაზე, ვინაიდან არსებობს გაურკვევლობა ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებას.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად. მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები მოყვანილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯელობების და სირთულის მაღალ დონესთან ან საკითხები, სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითად ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებულია შენიშვნაში 4.

ფუნქციონირებადი საწარმო. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ კომპანია შეძლებს თავისი ვალდებულებების დაფარვას და აქტივების რეალიზაციას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს გრანდ ჰენდლინგ მომსახურებების გაწევას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, რომელ საქმიანობაზეც ექსკლუზიური უფლებები გააჩნია შპს „TAV Urban Georgia“-ს (შემდგომში „TAV“). საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ოფიციალური წერილობითი ხელშეკრულება TAV-თან არ არის გაფორმებული.

მენეჯმენტმა აღნიშნული გარემოება გაითვალისწინა ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასების პროცესში. მიუხედავად ოფიციალური ხელშეკრულების არარსებობისა, კომპანია აგრძელებს ოპერირებას უწყვეტად და მისი საქმიანობა არ შეწყვეტილა.

გარდა ამისა, მენეჯმენტი ადასტურებს, რომ TAV-თან განხილვები მიმდინარეობს და არსებობს შეთანხმების წინასწარი პროექტი, სადაც ორივე მხარე მუშაობს ხელშეკრულების პირობების ფორმალიზებაზე.

დამატებით, კომპანია რჩება მომგებიანი და ინარჩუნებს ძლიერ წმინდა მიმდინარე აქტივების პოზიციას, რაც უზრუნველყოფს საკმარის ლიკვიდურობას, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულებები გადახდის ვადის დადგომისას.

მიმდინარე ოპერაციების უწყვეტობის, TAV-თან არსებული ურთიერთობის, ხელშეკრულების ფორმალიზაციის მიმართულებით პროგრესისა და კომპანიის ძლიერი ფინანსური მდგომარეობის

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საქმიანობის შეწყვეტის ალბათობა თითქმის არ არსებობს.

შესაბამისად, მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაბამისი და არ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რომელიც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოგება ან ზარალში. შემოსავალი ან ზარალი წარმოქმნილი ასეთი ოპერაციების ფარგლებში ანგარიშსწორებისას და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა საკურსო მოგება/ზარალი ფინანსური შემოსავლების/ხარჯების მუხლში. უცხოური ვალუტის ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ევრო 1=2.9753 ლარი და აშშ დოლარი 1=2.6894 ლარი. დღეისათვის ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, გადაიხედება გაუფასურების მიზნით, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურებაზე ტესტირების მიზნით, ის აქტივები, რომელთა შემოწმება ცალ-ცალკე შეუძლებელია, ჯგუფდება უმცირესი აქტივების ჯგუფში, რომელიც წარმოქმნის ფულად სახსრებს განგრძობადი გამოყენებისას და რომლებიც ძირითადად არ არის დამოკიდებული სხვა აქტივებსა და ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულზე (CGU). არაფინანსური აქტივების გაუფასურება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შესაძლო კომპესირების მიზნით.

ძირითადი საშუალება. ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება ნარჩენ ღირებულებებზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

2-12.5 წელი

სპეციალური სატრასპორტი საშუალებები

და აღჭურვილობა

კომპიუტერული და IT აღჭურვილობა

2-5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

5 წელი

სანტრასპორტო საშუალებები

5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები შეფასებულია ნულით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსვლა - პირველი გასვლა (FIFO) მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები არის ფინანსური აქტივების კატეგორია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, პლუს ნებისმიერი უშუალოდ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაცემული სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. შემდგომში ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოყენებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანიამ მთლიანად ვერ მიიღოს ანაზღაურება მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მაღალი ლიკვიდობის მოკლევადიან ინვესტიციებს რომელთა დაფარვის ვადა სამი თვე ან ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფული გზაში. ფული გზაში მოიცავს კლიენტებისგან შეგროვებულ ფულს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაკრედიტებული ბანკის მიერ ანგარიშგების თარიღისთვის. ფული გზაში აღიარებულია მისი ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფული გზაში მუხლში.

შეზღუდული ნაშთი. შეზღუდული ნაშთები არ შედის ფული და ფულის ეკვივალენტების მუხლში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან ვალდებულებების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, ამოღებული ფული და ფულის ეკვივალენტების მუხლიდან. შეზღუდული ნაშთი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სხვა საგადასახადო მოთხოვნები. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარმოდგენილია მათი ნომინალური ღირებულებით, გამოკლებული ამოუღებელი თანხების რეზერვები. საგადასახადო ვალდებულები გარდა მოგებისა ასახულია მათი ნომინალური ღირებულებით.

გადახდილი ავანსები მომწოდებლებთან. მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები აღირიცხება მათი თვითღირებულებით შეფასებული ამოუღებელი თანხების რეზერვის გამოკლებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულების სახით და აკლდება საკუთარ კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. ანგარიშგების პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი აისახება შენიშვნაში „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების აღიარება ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით აღიარება, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისა და მომსახურებისათვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, დაბრუნებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაზომვა შესაძლებელია; როდესაც სავარაუდოა, რომ საწარმო მომავალში ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს.

მომსახურების გაწევა. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მომსახურება არის შესრულებული. კომპანიის მიწისზედა (ჰენდლინგური) მომსახურება არის მოკლევადიანი ხასიათის და, როგორც წესი, სრულდება ძალიან მოკლე დროში. შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულია მომსახურების დასრულებისთანავე. მომსახურებები იდენტიფიცირდება მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების და/ან კონკრეტული მომსახურების მოთხოვნების საფუძველზე, რომლებიც დადასტურებულია ინვოისებით ან სხვა გაყიდვების დოკუმენტაციით. შემოსავალი იზომება შესაბამის ხელშეკრულებებში ან საბილინგო დოკუმენტებში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და, როგორც წესი, განისაზღვრება მომსახურების გაწევის პერიოდში გაწეული ხარჯების დამატებით შესაბამისი კონტრაქტით განსაზღვრული მარკაპით.

ამონაგები სააგენტო ურთიერთობიდან. საწვავის გადაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, წმინდა საფუძველზე, რადგან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია ამ კუთხით მოქმედებს როგორც რწმუნებული (აგენტი).

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროის პროპორციულ საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხდევითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამომუშავებულ მოგებაზე (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით. მოგების გადასახადი 15% გადასახდელია „აგროსილ“ ღირებულებაზე (ე. ი. წმინდა დივიდენდები „იგროსება“ წყაროსთან დასაკავებელი („withholding“) გადასახადის 5%-ით, თუ შესაძლებელია, და იყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდის მომენტისთვის ფიზიკური თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი დივიდენდი რეზიდენტ იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას, დივიდენდები მოგებაზე რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას „აგროსილ“ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე vs იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების, რომელიც გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ფაქტობრივი გადახდის თარიღი ან ის პერიოდი, რომელზეც ხდება დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანია წყვეტს ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარებას 2016 წლის 31 დეკემბრისთვის და შესაბამისი ეფექტი აღრიცხა 2016 წლის მოგება ან ზარალში. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

დაუყოვნებლივ იბეგრება საგადასახადო შეღავათიანი პირობების იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე წინასწარი გადახდები და სხვა სპეციფიკური ტრანზაქციები ასეთ საწარმოებთან, აგრეთვე გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, მოთხოვნილ აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე, შეპირისპირებით შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირთათვის წინასწარი გადახდებზე ან ანაზღაურებაზე გაცემული სესხების ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, აღირიცხება სხვა გადასახადები გარდა მოგებისა მუხლში ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადახდილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოებისათვის, შემდეგი ოპერაციებიდან უადრესად განხორციელებისთანავე: (ა) მომხმარებლებისგან ავანსის მიღებისას ან (ბ) საქონელის ან მომსახურების მომხმარებლებზე მიწოდებისას. ჩასათვლედი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება გადასახადელ დღგ-სთან შეპირისპირებით, დღგ-ს ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ჩათვლა ნეტო-საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლედი დღგ-ს გადავადება 5-დან 10 წლამდე ხდება ისეთი საწარმოების შემთხვევაში, რომელთა ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან გათავისუფლება ეხება ჩათვლის უფლებით. როდესაც მოთხოვნებისთვის იქმნება ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოვალის მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოს, საქართველოს საპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონდში გადახდების, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და სამედიცინო დაზღვევის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

შეცდომების გასწორება - გადაანგარიშება. 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოავლინა შეცდომები 2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის გამოცემულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით, კერძოდ: ნაშთები, რომელთა გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში შეზღუდული იყო (816 ათასი ლარი), არასწორად იყო შეტანილი ფული და ფულის ეკვივალენტებში; ასევე გამოვლინდა სხვა გადაანგარიშებისა და რეკლასიფიკაციის შეცდომები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება არ იყო წარმოდგენილი გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

ასევე, წლის განმავლობაში, კომპანიამ შეცვალა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაცია. კომპანიას მიაჩნია რომ ცვლილებები წარმოადგენს სანდო და უფრო შესაბამის ინფორმაციას.

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის.

ათას ქართულ ლარში

გადაანგარიშებამდე კორექტირებები გადაანგარიშებული
თანხა

აქტივები			
ძირითადი საშუალებები	133	8	141
შეზღუდული ნაშთი	-	816	816
სულ გრძელვადიანი აქტივები	133	824	957
მარაგები	-	1	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,411	(137)	1,274
გადახდილი ავანსი	-	38	38
სხვა საგადასახადო მოთხოვნები	-	140	140
სხვა მოთხოვნები	142	(142)	-
ფული გზაში	-	76	76
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,349	(825)	1,524
სულ მიმდინარე აქტივები	3,902	(849)	3,053
სულ აქტივები	4,035	(25)	4,010
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	74	-	74
გაუნაწილებელი მოგება	3,631	(27)	3,604
სულ საკუთარი კაპიტალი	3,705	(27)	3,678
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	332	332
სავაჭრო ვალდებულებები	217	(217)	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	4	(4)	-
სხვა ვალდებულებები	109	(109)	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	330	2	332
სულ ვალდებულებები	330	2	332
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,035	(25)	4,010

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის :

ათას ქართულ ლარში	გადაანგარიშებამდე	კორექტირებები	გადაანგარიშებული თანხა
ამონაგები	5,124	-	5,124
გაყიდვების თვითღირებულება	(1,490)	(137)	(1,627)
საერთო მოგება	3,634	(137)	3,497
სხვა შემოსულობები/(ზარალები), წმინდა	-	(1)	(1)
ადმინისტრაციული ხარჯები	(243)	(67)	(310)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(4)	4	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(177)	177	-
საოპერაციო მოგება	3,210	(24)	3,186
ფინანსური შემოსავალი	-	430	430
ფინანსური ხარჯები	-	(2)	(2)
საკუთხო ზარალი	421	(421)	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი	421	7	428
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	3,631	(17)	3,614
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(2)	(2)
სულ პერიოდის სრული მოგება	3,631	(19)	3,612

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებს რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. რომელიმე ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ამორტიზაციის განაკვეთების კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. იმის განსასაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველად გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლის ანგარიშების ამოღების შესაძლებლობის შეფასებას. თუ ძირითადი მომხმარებლის გადახდისუნარიანობა გაუარესდება ან ფაქტობრივი დანაკარგები გადაჭარბებს შეფასებებს, რეალური სავაჭრო მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის შეფასებული გაუფასურებულად, კოლექტიურად ფასდება კომპანიის ისტორიული ამოღებადობის გამოცდილების საფუძველზე, მსგავსი ხანდაზმულობის დავალიანებებისთვის. რეზერვები იქმნება კონკრეტული ხანდაზმულობის კატეგორიების მიხედვით ისტორიული ამოღებადობის მაჩვენებლების საფუძველზე. გაუფასურების რეზერვის მოცულობა მგრძნობიარეა გამოყენებული პროცენტული მაჩვენებლების მიმართ.

რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან, ხოლო კომპანიის შეფასებები მომავალში შეიძლება გადაიხედოს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მიმართულებით, თითოეული განფენილობის გარშემო არსებული ფაქტებისა და მოლოდინების შესაბამისად.

ამონაგები სააგენტო ურთიერთობებიდან. მენეჯმენტმა გამოიყენა პროფესიული განსჯა საწვავის გადაყიდვიდან მიღებული შემოსავლების შეფასებისა და აღიარების პროცესში. მხედველობაში იქნა მიღებული რამდენიმე ფაქტორი იმის დასადგენად, მოქმედებდა თუ არა კომპანია როგორც აგენტი (რწმუნებული) თუ როგორც პრინციპალი (მარწმუნებელი) მხარე, განსაკუთრებით ის, არის თუ არა კომპანია ძირითადად პასუხისმგებელი განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვალდებულების შესრულებაზე. მენეჯმენტმა ასევე შეაფასა, რომელი მხარე არის ძირითადად პასუხისმგებელი კონტრაქტის შესრულებაზე, მათ შორის მომხმარებელთა მომსახურების უზრუნველყოფაზე, მომხმარებელთა საჩივრების გადაწყვეტასა და მომსახურების ხარისხზე ან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობის აღებაზე. კომპანიას არ აქვს ავიაკომპანიებზე საწვავით გამართვის მომსახურების ლიცენზია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი

5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, მიიჩნევა დაკავშირებულ მხარეებად, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მეორე მხარე ან განახორციელოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მის ფინანსურ და ოპერაციულ გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის შეფასებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის ეკონომიკურ შინაარსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დაუფარავი ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია.

ხელმძღვანელობის ანაზღაურება. უმაღლესი ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის დირექტორს.

ქვემოთ მოცემულია უმაღლეს ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებული პერსონალის ხარჯები:

	2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე
ათას ქართულ ლარში	
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	46

დავით წივწივაძემ 2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღიდან) 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში - 18 ათასი ლარი.

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი

6 ძირითადი საშუალებები

მოძრავი ბირთვადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში შემდეგი იყო:

ათას ქართულ ლარში	სპეციალური სატრასპორტი საშუალებები და ადამრევილობა	კომპიუტერული და IT ადამრევილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტი საშუალება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება						
2023 წლის 21 აპრილს (რეგისტრაციის თარიღი)	-	-	-	-	-	-
დამატებები	25	32	54	27	7	145
2023 წლის 31 დეკემბერს	25	32	54	27	7	145
ცვეთის და გაუფასურების ხარჯები						
2023 წლის 21 აპრილს (რეგისტრაციის თარიღი)	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	-	2	2	-	-	4
2023 წლის 31 დეკემბერს	-	2	2	-	-	4
საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 21 აპრილს (რეგისტრაციის თარიღი)	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერს	25	30	52	27	7	141

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი

7 შეზღუდული ნაშთი

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2023
ვადიანი დეპოზიტები*	816
სულ შეზღუდული ნაშთი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	816

*შეზღუდული ნაშთი წარმოადგენს ვადიან დეპოზიტებს, რომლებიც შეზღუდულია სს „ბაზისბანკის“ მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტიების ფარგლებში, დროებით იმპორტის რეჟიმით შემოტანილ ძირითადი საშუალებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანია აღნიშნულ თანხებზე იღებს საპროცენტო შემოსავალს, იხილეთ შენიშვნა 18.

8 მარაგები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2023
ბარგის ეტიკეტი და ჩასხდომის ბარათი	-
სხვა ჰენდლინგური მასალები	1
სულ მარაგები	1

9 გაცემული სესხები

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში გაცემული სესხები არ ჰქონია.

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,288
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	-
სხვა მოთხოვნები	13
გამოკლებული საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(27)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,274

11 გადახდილი ავანსები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2023
მომსახურებებისა და მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები	38
სულ გადახდილი ავანსები	38

12 ფული და ფულის ეკვივალენტები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში*	206
ფული ბანკში	1,318
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,524

13 საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ათას ქართულ ლარში	საწესდებო კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 21 აპრილს	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	74
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	74

2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 74 ათასი ლარით. გამოშვებული კაპიტალის შეტანა მოფლობელების მიერ ფულის სახით განხორციელდა.

2023 წლის 21 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დავით კვარაცხელიას მიმართ გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდების ოდენობა შეადგენდა 8 ათას ლარს (დაკავშირებული მოგების გადასახადი - 2 ათას ლარი)

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები *	218
მიღებული ავანსი**	91
სხვა ვალდებულებები	23
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	332

15 ამონაგები

	2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე
ათას ქართულ ლარში	
ამონაგები ჰენდლინგური ოპერაციებიდან	4,878
ამონაგები საწვავის გადაყიდვიდან*	246
სულ ამონაგები	5,124

შპს „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი

16 გაყიდვების თვითღირებულება

ათას ქართულ ლარში	2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯები	1,282
იჯარის ხარჯი	10
საწვავის ხარჯი	70
სხვა ჰენდლინგური მარაგის ხარჯი	49
თანამშრომლების ტრენინგის ხარჯი	63
პროფესიული მომსახურებები	65
დაზღვევის ხარჯი	1
ცვეთის ხარჯი	4
რემონტი და მოვლა	8
ტერიტორიაზე შესვლის საფასური	32
ანარიცხის ხარჯი (შენიშვნა 10)	27
კომუნიკაცია და კომუნალური ხარჯები	9
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	7
სულ გაყიდვების თვითღირებულება	1,627

17 ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე
ხელფასი და სარგოები	102
პროფესიული და საკონსულტაციო სერვისები	44
სხვა დასაქმებულთა გასამრჯელოები	21
წარმომადგენლობითი ხარჯები	33
ოფისის მომარაგება	54
მივლინება	1
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	3
საკანცელარიო ხარჯები	9
საბანკო გადასახადები	12
IT ხარჯები	5
სახელმწიფო საპენსიო ფონდის შენატანები	2
რემონტი და მოვლის ხარჯები	6
სხვა ხარჯები	18
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	310

18 ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ათას ქართულ ლარში		2023 წლის 21 აპრილიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2023 წლის 31 დეკემბრამდე
აღიარებული მოგება ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი (შენიშვნა 7)		8
წმინდა საკუროსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა		41
შემოსულობა კონვერტაციიდან*		381
ფინანსური შემოსავალი		430
საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა 7)		(2)
ფინანსური დანახარჯები		(2)
წმინდა ფინანსური დანახარჯები აღიარებული მოგება ან ზარალში		428

*განსხვავებები რომელიც არის შედეგი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ კურსსა და კომერციული ბანკის კურსის შორის, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან მოთხოვნის ნაშთების ანაზღაურების ოპერაციებში.

19 პირობითი ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ ჰქონდა არსებითი ვალდებულებები.

სასამართლო დავა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო პროცესებში.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ გადაიხედება და მოწმდება, რომელთაც აქვთ საურავების, ჯარიმების და პროცენტების დაკისრების უფლებამოსილება.

ფისკალური წელი ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

კლიმატის ცვლილება. ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და გააცნობიერა გლობალური შემფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ იმოქმედებს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ეს გაიცემა იმ ბაზრებზე, სადაც კომპანია ოპერირებს.

20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული წილების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, SPLENDID INTERNATIONAL LLC-მ (ს/ნ: ADAFZ00387, რომელიც დაფუძნებულია არაბთა გაერთიანებული საამიროების კანონმდებლობის შესაბამისად) შეიძინა კომპანიის 30% და 20% წილები დავით კვარაცხელიასა და დავით წივწივამისგან, შესაბამისად, 1,500 ათასი აშშ დოლარის ინვესტიციის ვალდებულების სანაცვლოდ, რომელიც კომპანიის საწესდებო კაპიტალში უნდა შეიტანოს ქონების სახით (მაგალითად: დანადგარები და მოწყობილობები და სხვა) (შენიშვნა 13). შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში საკუთრების წილი ასეთია: SPLENDID INTERNATIONAL LLC – 50%; დავით კვარაცხელია - 30%; დავით წივწივამე - 20%;

2025 წელს, ძირითადი საშუალებების ერთეულები, რომელთა თვლირებულება შეადგენდა 870 ათას აშშ დოლარს (2024 წლის 31 დეკემბრის გაცვლითი კურსით 2,442 ათას ლარის ეკვივალენტი) და რომელთა შეძენა დაფინანსებული იყო SPL-ის მიერ, შეტანილი იქნა კომპანიის საწესდებო კაპიტალში;

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი 216 ათასი ლარი ოდენობით 2025 წლის ოქტომბერში შეტანილი იქნა საბანკო ანგარიშზე;

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების ნაშთი 897 ათასი ლარი 2025 წელს სრულად იქნა მიღებული;

2026 წლის თებერვლის ბოლოს ირანსა და აშშ-ისრაელის ალიანსს შორის დაიწყო ომი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული მოვლენა გავლენას მოახდენს როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკაზე. კომპანია მიწისზედა მომსახურებას უწევს ირანულ ავიაკომპანიას, საიდანაც 2024 წელს მიიღო 570 ათასი ლარის ამონაგები; თუმცა, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის მისი ფრენები გაუქმებულია. ასევე არსებობს რისკი, რომ კონფლიქტის განვითარების გამო სხვა ავიაკომპანიების ფრენებიც შეიძლება შეფერხდეს, გადაიდოს ან ვერ განხორციელდეს დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება არსებულ ვითარებას და არ მოელის, რომ ომის პირდაპირი გავლენა კომპანიის საოპერაციო შედეგებზე არსებითი იქნება, ირანულ ავიაკომპანიასთან დაკავშირებული გავლენის გარდა;

2026 წლის მარტში კომპანიის მფლობელობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, SPL-ი და დავით წივწივამე თითოეული ფლობს წილის 50%-ს;